

<p>ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 2703031101/10 ქ. თბილისი 23.03. 2020 წ.</p>	<p>Agreement on State procurement No. Tbilisi 23.03.2020</p>
<p>ერთი მხრივ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის სახით და მეორე მხრივ, იურიდიული პირი Shenzhen Bioeasy Biotechnology Co.,Ltd. (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი საერთაშორისო საქმეთა დირექტორის პეტერ ჟონგის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:</p>	<p>Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia (hereinafter referred as the “Procurer”) represented by the Deputy Minister, Giorgi Tsotskolauri, on one hand, and the Legal entity Shenzhen Bioeasy Biotechnology Co.,Ltd. (hereinafter referred as the “Supplier”), represented by Peter Zhong, Director of International Business on the other hand, hereby sign this Agreement:</p>
<p>1. ხელშეკრულების საგანი შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, „საქართველოს ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულებით, „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 მარტის N176 დადგენილებით დამტკიცებული („ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვისათვის საჭირო საშუალებების შესყიდვა“) (პროგრამული კოდი 2703031101) პროგრამის ასიგნებების ფარგლებში და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.</p>	<p>1. Basis of the Agreement The “Procurer” carried out simplified purchase according to the Decree of the Government of Georgia #164 of January 28, 2020 on “Approval of Measures to Prevent the Possible Spread of the New Coronavirus in Georgia and Approval of an Emergency Response Plan for Cases Caused by COVID-19”, Amendments to the Decree of the Government of Georgia #674 of December 31, 2019 on “Approval Amendments to the State Health Care Program of 2020”, (“Procurement of the goods necessary for the management of the new coronavirus disease COVID 19”) (Program Code 2703031101) within the framework of program allocations approved by the Decree #176 of the Government of Georgia of March 17, 2020 and In accordance with subparagraph (b) of paragraph 3 of Article 101 of the Law of Georgia on “State Procurement”.</p>
<p>2. ხელშეკრულების ობიექტი: 2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია ფარმაცევტული საქონელი CPV33600000 (შემდგომში „საქონელი“) დანართი #1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.</p>	<p>2. Object to the Agreement 2.1. The object to the Agreement (procurement) is pharmaceutical products CPV33600000 (hereinafter referred as the Goods) according to the Annex #1, which is the integral part of the present Agreement.</p>

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება, მოსაწოდებელი საქონლის ტრანსპორტირების გარეშე, შეადგენს 1,182,500 აშშ დოლარს. ეროვნული ვალუტის ექვივალენტით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ანგარიშსწორების დღისათვის დადგენილი კურსით (საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით).

3.2 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:
ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმების შედეგად მოხდება წარმოდგენილი ფასის შემცირება;
ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას.

4. ხელშეკრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის მატერიალური უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი გურამ გიორგობიანი.

4.2 ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება „მიმწოდებელს“.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 „მიმწოდებლის“ მიერ საქონლის „შემსყიდველისთვის“ არაჯეროვნად მოწოდების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით.

5.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია მიწოდებული „საქონლის“ წუნდების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 45 დღეში განახორციელოს წუნდებული „საქონლის“ შეცვლა „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3. Total value of the Agreement

3.1. Total value of the Agreement, without transportation cost of the delivering “Goods” is 1,182,500 USD, in national currency, according to exchange rate of the National Bank of Georgia that is in force at the date of transfer, considering all taxes related to the purchase of “Goods”.

3.2. Modification of the price verified in the Agreement is allowed only in the following cases:

- a) As the result of the agreement between parties the price will be reduced;
- b) In case of the circumstances foreseen by the Article 398 of the Civil Code of Georgia.

4. Supervision of the Agreement

4.1. Implementation of the Agreement will be supervised by Mr. Guram Giorgobiani, Head of Material Provisions and Logistics Division of Administration at the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia.

4.2 Submission of all necessary documents related to the inspection and provision of organizational matters shall be the responsibility of the “Supplier”.

5. Quality of the Procurement Object

5.1 In case of improper delivery of the “Goods” from “Supplier” to the “Procurer”, the “Procurer” notifies the “Supplier” in written form about the reasons of the faults. The “Supplier” with its own expenses ensures elimination of the procurement object fault, considering the interests of the “Procurer”.

5.2 The “Supplier” is liable at most in 45 days upon receipt of the written notification about the faults revealed with the supplied “Goods” to replace the faulty “Goods” without incurring any additional expenses from the side of the “Procurer”.

<p>6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები</p> <p>6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, გადამზიდი კომპანიისთვის (Silk Way West Airlines LTD) მიწოდების გზით, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს განსაზღვრული „საქონლის“ მიწოდებას შემსყიდველისთვის საქართველოში, ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N144.</p> <p>6.2 „საქონლის“ გამოგზავნამდე, „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ და სატრანსპორტო კომპანიას უნდა წარუდგინოს საქონლის დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირებისთვის საჭირო დოკუმენტები, მათ შორის: ინვოისი მოწოდებული საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.</p> <p>6.4. „შემსყიდველისთვის“ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში წარმოქმნილი ყველა ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“.</p> <p>6.5 ფაქტიურად მიწოდებული „საქონლის“ მიღება-ჩაბარება განხორციელდება ხეკშეკრულების 4.1 მუხლით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.</p> <p>6.6 „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს საქონლის შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები.</p> <p>6.7 „საქონლის“ დაუყოვნებლივ გამოგზავნის მიზნით, „მიმწოდებელმა“, საქონლის გადამზიდავი კომპანიისთვის გადაცემის პირველივე დღეს უნდა უზრუნველყოს „შემსყიდველისთვის“ შეტყობინების გაკეთება ელექტრონულ მისამართებზე: (info@moh.gov.ge).</p> <p>7. საქონლის ვარგისიანობის ვადა „საქონლის“ ვარგისიანობის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება წარმოების მომენტიდან 24 თვის პერიოდით.</p> <p>8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები</p> <p>8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება საბანკო გადარიცხვით „მიმწოდებლის“ ანგარიშზე, ეტაპობრივად, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1 ის შესაბამისად.</p>	<p>6. Conditions of the delivery-acceptance and supply of the procurement object</p> <p>6.1. Delivery of the “Goods” shall be carried out step by step, by supplying the cargo company (Silk Way West Airlines LTD), which in its turn will ensure delivery of the “Goods” to the “Procurer” in Tbilisi, Georgia, Tsereteli Ave. N144.</p> <p>6.2. Before delivering of the “Goods”, the “Supplier” shall submit to the “Procurer” and cargo company documents necessary for the transportation of the “Goods” to the final destination, including invoice with description of the “Goods”, indicating its quantity, unit price and total price.</p> <p>6.4. The “Supplier” shall bear all costs incurred by the delay of the delivering such documentation to the “Procurer”.</p> <p>6.5. Acceptance of the actually delivered "Goods" will be carried out by the person authorized under the 4.1 Paragraph of this Agreement on the basis of the inspection act compiled by the authorized person and Delivery-Acceptance Certificate.</p> <p>6.6 The “Supplier” shall submit the relevant quality assurance documents of the products.</p> <p>6.7. In order to deliver the “Goods” immediately, the “Supplier” shall, on the first day of supplying the cargo company with “Goods”, notify the “Purchaser” to the following email addresses: (info@moh.gov.ge).</p> <p>7. Validity of the goods The maximum validity of the “Goods” shall be 24 months from the date of manufacture.</p> <p>8. Settlement rule, form and terms</p> <p>8.1. Payment shall be carried out via bank transfer to the bank account of the supplier, step by step, in accordance with the Annex 1 to this Agreement</p>
---	--

<p>8.2. ანგარიშსწორება პირველ, მეორე და მესამე ეტაპზე განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებული „საქონლის“ საბოლოო დანიშნულების ადგილზე მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის და ინვოისების საფუძველზე. საბოლოო დანიშნულების ადგილზე საქონლის ტრანსპორტირების ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში, მეორე და მესამე ეტაპების ანგარიშსწორება განხორციელდება მე-4 ეტაპისთვის განსაზღვრული „საქონლის“ გამოგზავნამდე.</p> <p>8.3. წინასწარი ანგარიშსწორება განხორციელდება მეოთხე ეტაპზე (მეოთხე ეტაპი: 200 000 ცალი ტესტის გადამზიდი კომპანიისთვის გადაცემის თარიღია 3-4 აპრილი, საქონლის ჯამური ღირებულება შეადგენს 1,100,000 აშშ დოლარს), მოსაწოდებელი „საქონლის“ ღირებულების 50% ოდენობით.</p> <p>8.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში ან/და ეროვნული ვალუტის ექვივალენტით უცხოურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით.</p> <p>8.5 მე-8 მუხლით განსაზღვრული წინასწარი ანგარიშგების პირობები ძალაშია საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი თანხმობის გაცემის შემდგომ.</p>	<p>8.2 Payment at the first, second and third stages shall be carried out after delivering of the actually delivered "Goods" to the final destination on the basis of the Delivery-Acceptance Certificate and invoices. In case of prolongation of the transportation period of "Goods" to the final destination, payment for the second and third stages shall be settled before the fourth delivery is sent.</p> <p>8.3 Advance payment shall be carries out at the fourth stage (fourth stage: delivery date of 200 000 tests to the cargo company is 3-4 April, total cost of the "Goods" are 1,100,000 USD), with amount to 50% of the derived "Goods".</p> <p>8.4. Payment shall be made in the national currency and/or in foreign currency, equivalent to the official exchange rate of national currency, defined by the National Bank for the settlement day.</p> <p>8.5 Advance payment conditions, defined by the Article 8 shall be in force after approval by the Government of Georgia.</p>
<p>9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი</p> <p>9.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება „საქონლის“ მოწოდების ხარისხის, ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო მიღების მომენტისათვის, აგრეთვე მე-12 მუხლით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში;</p> <p>9.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული „საქონლის“ ღირებულების დროული გადარიცხვა „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე;</p> <p>9.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ „საქონლის“ ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;</p> <p>9.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის</p>	<p>9. Rights and Liabilities of the Parties</p> <p>9.1. The "Procurer" is authorized to cease the Agreement due to deterioration of the "Goods" delivery quality, or the supply conditions - at the moment of reception, also in the event of conditions foreseen by the Article 12 of the Agreement hereof.</p> <p>9.2. The "Procurer" is liable to provide the timely payment of the supplied "Goods" value via transfer to the bank account of the supplier.</p> <p>9.3. The "Supplier" is liable to demand from the "Procurer" the timely payment of the supplied "Goods" value via transfer to the bank account of the Supplier.</p> <p>9.4. The "Supplier" is responsible to provide the</p>

„საქონელი“ გადასცეს გადამზიდავ კომპანიას ხელშეკრულების დანართი 1-ით განსაზღვრული გრაფიკისა და პირობების შესაბამისად.

10. პირგასამტეხლო

10.1 ხელშეკრულების დანართი 1-ით განსაზღვრული ვადების გადაცდენის, ან მიწოდების მიერ პირობების გაუარესების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

10.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, საქონლის გადამზიდავი კომპანიისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე იხდის როგორც პირგასამტეხლოს მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 1%-ის ოდენობით, ასევე, აბრუნებს მოუწოდებელი საქონლის მოწოდებისთვის ავანსად გადახდილ თანხას

10.3 იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5 მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

11. ფორს-მაჟორული სიტუაცია

11.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე დაუძლეველი ძალა, რომლის წარმოშობაზე

cargo company with “Goods” of the quality specified in this Agreement in accordance with the schedule and conditions set forth in Annex 1 to this Agreement.

10. Penalty

10.1. In the event of improper implementation of the liabilities undertaken and in the event of delay of the terms defined by the Annex 1 to the Agreement, the parties are imposed with the penalties in the amount of 0.1% of the value of the Agreement for each day overdue.

10.2. In the event of breach of other conditions foreseen by the Agreement hereof, including non-delivery of the “Goods” to the cargo company, the breaching party shall pay the penalties in the amount of 1% of the value of the delivered product, as well as returns the amount paid in advance for the delivery of the undelivered goods.

10.3. In the event if the total amount of the penalties exceeds 2% of the Agreement value, the party bears the right to cease the Agreement unilaterally and to demand remuneration of the incurred damage/loss.

10.4. Payment of the penalty sanctions does not exempt the parties from implementation of the general liabilities.

10.5. The parties undertake the liability to provide payment of the penalty in the term of 10 (ten) days upon receipt of the written notification.

11. Force-Majeure

11.1. On basis of the Agreement hereof neither party is held responsible in front of the other party and is not exempted from the responsibility for non-implementation or improper (partial) implementation of the undertaken liabilities due to the Agreement hereof, if the reason for that were the

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

11.2. დაუძლეველ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

- ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
- ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
- გ) ეპიდემიები;
- დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
- ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

11.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

11.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

11.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებული არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

11.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

11.7. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდე გონივრულ ვადებში.

insuperable forces, incurring of which might not have been foreseen by the parties and therefore not overcome, and about which the parties might not have known upon drawing of the Agreement.

11.2. The insuperable forces are the following (not limited to):

- a) Natural calamities (fire, flood, earthquake, storm, etc.);
- b) Declared and non-declared war, civil disturbances, any other type military actions, state of emergency;
- c) Epidemics;
- d) Blockade or any economic embargo;
- e) Decision by the governmental agency or competent authorized body and issuing of the normative act, which affects implementation of the liabilities undertaken by the parties and modifies, ceases or suspends the terms and the provisions of the Agreement hereof.

11.3. Force-majeure circumstances shall be confirmed by the competent body.

11.4. The party shall communicate about incurring of the force-majeure events to the other party by available communication means (telephone, mail, fax, e-mail, currier, etc.).

11.5. Presence of the force-majeure circumstances does not cause automatically cancelling of the Agreement. The parties are liable to define the way of dealing with the force-majeure events.

11.6. Upon termination of the force-majeure circumstances the parties immediately continue implementation of the liabilities undertaken due to the Agreement hereof.

11.7. The party will not be exempted from the responsibility if it is incurred by the force-majeure circumstances, or implementation of the undertaken liabilities was possible before incurring of such circumstances in the reasonable terms.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12.2 ხელშეკრულების 12.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღით ადრე.

12.3 წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.3 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტონ დავა ნებისმიერ მხარე უფლებამოსილია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

14.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

14.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

14.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი

12. Termination of the Agreement

12.1. The Agreement might be ceased upon initiative of one of the parties on basis of the mutual consent by the parties.

12.2. In the event foreseen by the paragraph 12.1 of the Agreement hereof the party is liable to notify the other party in writing no later than in 15 business days.

12.3. Written notification does not exempt the parties from implementation of the liabilities undertaken due to the Agreement hereof before termination of the Agreement.

13. Disputes Settlement

13.1. The disputes incurred between the parties might be solved on basis of the amicable negotiations by the parties.

13.2. The “Procurer” and the “Supplier” shall apply for all the efforts in order to solve all the disputes and discrepancies via amicable negotiations, incurred due to the Agreement hereof or related thereto.

13.3. If the parties fail to solve the dispute on basis of the amicable negotiations, then any party is entitled to refer to Georgian court according to the Georgian legislation.

14. Other conditions

14.1. The parties are guided by the principle of mutual respect and with the desire of expanding of cooperation.

14.2. The parties to the Agreement are liable to take proper care of the goodwill and the dignity of each other.

14.3. The parties are liable to protect the confidential information become known to them as the results of the mutual activities for implementation of the Agreement hereof.

14.4. The parties to the Agreement hereof are not entitled to make statement about non-implementation of the Agreement by the other party or the breach of the Agreement, etc., if the

შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

14.5 კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

14.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე. ინგლისურენოვან ტექსტს გააჩნია უპირატესი ძალა.

14.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

15.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 მაისი ჩათვლით.

15.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

15.4 ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

16. განსაკუთრებული შენიშვნები

წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია ელექტრონულად.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქ. თბილისი, 0119, აკაკი წერეთლის გამზირი №144.

საიდენტიფიკაციო კოდი: 202486559

სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

issue is not examined in advance by both parties and the appropriate facts are not confirmed.

14.5. The case will not be considered as the breach of confidentiality when the disclosure of the confidential information was made on basis of the demand of the act issued by any governmental agency.

14.6. The present Agreement is concluded in Georgian and English languages. Text in English language shall prevail.

14.7. All the amendments and modifications to the Agreement hereof enter into force only upon been drawn in writing and signed by the authorized representatives of the all two parties.

15. Term of the Agreement

15.1. The Agreement enters into force upon the date of signing by the parties.

15.2. Term of the Agreement is effective including May 30, 2020, after signing the Agreement.

15.3. Modifications and amendments to the Agreement hereof might be introduced only upon the mutual consent by the parties.

15.4. Interactions by and between the parties are terminated upon implementation of all the liabilities and repayment of the all the accounts receivable and payable.

16. Special remarks

The present Agreement is signed electronically.

17. Details of Parties

“Procurer”

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

Address: #144 Ak. Tsereteli ave., Tbilisi, Georgia

Identification code: 202486559

State Treasury

SWIFT CODE: TRESGE22

IBAN: GE24NB0330100200165022

ა/ა GE24NB0330100200165022

უფლებამოსილი პირი:
გიორგი წიწკოლაური, მინისტრის მოადგილე

Ministry of Internally
Displaced Persons
from the Occupied
Territories, Labour,
Health and Social
Affairs of Georgia 2020.03.2
3 14:19:14
+04'00'

„მიმწოდებელი“

იურიდიული პირი

Shenzhen Bioeasy Biotechnology Co.,Ltd.

მისამართი: No. 2-1, 1st Liuxian Street, Xin'an road,
Baoan district, Shenzhen, Guangdong Province, P.R
China P.C: 518101

საიდენტიფიკაციო კოდი: 914403006641998843

ბანკის კოდი: 4421 4800 4002 2010 3951

ა/ა PCBCCNBJSZX

უფლებამოსილი პირი:

პიტერ ჟონგი, საერთაშორისო საქმეთა დირექტორი

ხელმოწერა

Authorized person:

Giorgi Tsotsokauri, Deputy Minister

“Supplier”

Legal entity:

Shenzhen Bioeasy Biotechnology Co.,Ltd.

Address: No. 2-1, 1st Liuxian Street, Xin'an road,
Baoan district, Shenzhen, Guangdong Province, P.R
China P.C: 518101

Identification code: 914403006641998843


IBAN: 4421 4800 4002 2010 3951

SWIFT PCBCCNBJSZX

Authorized person:

Peter Zhong, Director of International Business

For and on behalf of
SHENZHEN BIOEASY BIOTECHNOLOGY CO., LTD
Signature



Authorized Signature(s)

დანართი #1
Annex #1

N	საქონლის გადამზიდავ ო კომპანიისთვის გადაცემის ეტაპები და ვალები/Stages and Terms of Delivery of Goods to the cargo company	დასახელება / Title	მწარმოებელი /Manufacturer	მწარმოებლის კატალოგის ნომერი / Manufacturer Catalogue Number	Number of tests/ტესტების რაოდენობა	ერთეულის ფასი აშშ დოლარში/P rice of test in USD	შეფუთვა/Packaging	საერთო ფასი აშშ დოლარში /Total Price in USD
1	24 March/მარტი, 2020	2019-Novel CoronaVirus (2019-nCov) Ag GICA Rapid Test	Shenzhen Bioeasy Biotechnology Co.,Ltd.	YRLG2220102 5	1000	5.5 USD/აშშ დოლარი	25 tests/kit კოლოფი	5,500
1	24 March/მარტი, 2020	2019-Novel CoronaVirus (2019-nCov) IgG/IgM GICA Rapid Test	Shenzhen Bioeasy Biotechnology Co.,Ltd.	YRLG2230102 5	1000	5.5 USD/აშშ დოლარი	25 tests/kit კოლოფი	5,500
2	26 or 27 March/მარტი, 2020	2019-Novel CoronaVirus (2019-nCov) Ag GICA Rapid Test	Shenzhen Bioeasy Biotechnology Co.,Ltd.	YRLG2220102 5	5000	5.5 USD/აშშ დოლარი	25 tests/kit კოლოფი	27,500
2	26 or 27 March/მარტი, 2020	2019-Novel CoronaVirus (2019-nCov) IgG/IgM GICA Rapid Test	Shenzhen Bioeasy Biotechnology Co.,Ltd.	YRLG2230102 5	3000	5.5 USD/აშშ დოლარი	25 tests/kit კოლოფი	16,500
3	30 March/მარტი, 2020	2019-Novel CoronaVirus (2019-nCov) Ag GICA Rapid Test	Shenzhen Bioeasy Biotechnology Co.,Ltd.	YRLG2220102 5	5000	5.5 USD/აშშ დოლარი	25 tests/kit კოლოფი	27,500
4	3 or 4 April/აპრილი , 2020	2019-Novel CoronaVirus (2019-nCov) Ag GICA Rapid Test	Shenzhen Bioeasy Biotechnology Co.,Ltd.	YRLG2220102 5	200 000	5.5 USD/აშშ დოლარი	25 tests/kit კოლოფი	1,100,000